# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა. — კვირა, 24 სექტემბერი 1900 წ. № 1248

**გაზეთის ფასი:** წელიწადში — 6 მან., თვეში — 75 კაპ., ცალკე ნომერი — 3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე — 10 კ. მეოთხეზე — 5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27. — ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. — პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“ — „Моамбе“.

ტელეფონი № 372.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 სექტემბერი

**კონსტანტინეპოლი.** სპარსეთის შაჰი გუშინ წავიდა აქედან.

**პრეტორია.** პრეზიდენტის კრიუგერის ცოლი ძლიან ავად გახდა.

**ლონდონი.** დილის 5 საათამდე არჩეულია 280 დეპუტატი სამინისტრო პარტიისა, 72 ლიბერალი და 45 ნაციონალისტი. სამინისტრო პარტიამ შეიძინა 21 ახალი ადგილი, ოპოზიციამ — 14.

**ტიანძინი.** გერმანიის საზღვაო ქვეითა პოლკს თავს დაესხა 2000 მოკრივე; უკანასკნელთ 400 კაცი მოუკლეს; გერმანელებმა ცოტა დაჰკარგეს.

**ტაკუ.** შანდუნის პროვინციაში ისევ დაუწყეს დევნა ქრისტიანთ.

**ლონდონი.** „სტანდარდ“-ს სიტყვით, შანსის გუბერნატორი ხუსიენი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, მაგრამ იმპერატორის ბრძანება მას ჰპირდება ახალს ადგილს. მის ადგილას დაინიშნა ტუალინსიენი, რეფორმათა საზოგადოების პირველი პრეზიდენტი.

**პეკინი.** ამერიკელი ჯარის გაყვანა პეკინიდან ორხშაბათს დაიწყო; საზღვაო ქვევითი ჯარი მიდის ტიანძინში; შემდეგ იქითკენვე წავა მე-14 პოლკი.

**ტიანძინი.** ლიხუნჩანგი ხვალ მიდის პეკინში; მას გაჰყვება რუსთა და ჩინელთა რაზმი.

**ვაშინგტონი.** იმ ნოტას, რომელიც ამერიკის სტატს-სეკრეტარმა გეიმ გადასცა გერმანიის წარმომადგენელს, აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგანაც ეს ნოტა დამამტკიცებელია გერმანიისა და ამერიკის შუა შეთანხმებისა ჩინეთის საქმეებში. გერმანიის სურვილი, რომ უცხოელთა ელჩებმა თვალ-ყური ადევნონ დამნაშავეთა დასჯის საქმეს, გადაეცა მაკ-კინლეის და უკანასკნელმა იგი მოიწონა. გეიმ შეადგინა დღეს მეორე ნოტა, რომელიც ტელეგრაფით გაიგზავნა ბერლინში. იმედი აქვთ, რომ ეს ნოტა კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს და კიდევ უფრო შეაკავშირებს ორივე მთავრობას.

**ვაშინგტონი.** საფრანგეთის საელჩომ გადასცა დღეს ამერიკის მთავრობას წერილობითი წინადადება საფრანგეთისა ჩინეთის საქმეების გადაწყვეტის შესახებ. წინადადება გაეგზავნა მაკ-კინლეის.

**ჰონკონგი.** ათასი ჩინელი ჯარის კაცი გაიგზავნა კანტონიდან ვეიჩეოუს ოლქში ამბოხების მოსასპობლად. კაულუნში მიიღეს ზომები მეამბოხეთა მოსაგერებლად, რადგანაც გუანის პროვინციაში დიდი აჯანყებაა.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ ინგლისს ჯერ აქამდე არ ამოუღია ხმა ბიულოვის ნოტის შესახებ; იგი თითქო კიდეც თანაუგრძნობს ამ ნოტაში გამოთქმულს შეხედულებათა, მაგრამ გადაწყვეტით ოფიციალურად კი არას აცხადებს. ამიტომ, რა აზრისაა ინგლისის მთავრობა, ამ საგნის შესახებ ნამდვილად არა იციან-რა, და მხოლოდ სხვა და სხვა ხმებია მოყვანილი გაზეთებში. სხვათა შორის «ინდეპანდან ბელჟის» კორესპონდენტი იტყობინება, რომ ლორდ სოლსბერის გერმანიის ნოტის პასუხად, ვითომ, ესეთი აზრი წარუდგენია: დაინიშნოს წინ და წინ საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდოს გამოძიება იმისი, თუ ვინ არიან ნამდვილად დამნაშავენი ჩინეთის არეულობაში, ვინ აქეზებდნენ მოკრივეთა აჯანყებას და უცხოელთ ამოწყვეტას. რაც შეეხება დამნაშავეთა დასჯას, ინგლისი ამ საგანში ემხრობა შეერთებულ შტატებს და იაპონიას და ჰფიქრობს, რომ ეს დასჯა მოთხოვნად უნდა იყოს მხოლოდ ჩინეთთან ზავის შეკვრის შემდეგ.

∝ პარიზის კორესპონდენტი «ტაიმსა»-ისა ამტკიცებს, რომ საფრანგეთს, რუსეთს და გერმანიას გადაუწყვეტიათ დაუყოვნებლივ შეთანხმდენ როგორმე ერთმანერთში მიუხედავად იმისა, მიემხრობიან მათ შეთანხმებას ინგლისი და ამერიკა, თუ არა. პარიზის დიპლომატიურ წრეებში უწინდელს დროს სთვლიან ძალიან მარჯვე დროდ ჩინეთის საქმის გადასაწყვეტად, რადგანაც ინგლისი და ამერიკა გართულნი არიან ამ ჟამად საარჩევნო საქმეებში. დელკასემაც ამის გამო სწორედ ეს დრო შეარჩია და აპირობს წარუდგინოს სახელმწიფოებს თავისი საკუთარი პროგრამმა ჩინეთის საქმეების გადასაწყვეტად. კორესპონდენტის აზრით დიდი იმედია იმისი, რომ ეს პროგრამმა მიღებული იქმნება სახელმწიფოთაგან. თვით პროგრამმის შინაარსის შესახებ კი კორესპონდენტი არას იწერება.

∝ ვენის სარწმუნო წყაროდან «სტანდარდ»-ს სწერენ: უკეთესი მეგობრები გერმანიისა (იგულისხმეთ ავსტრია) ურჩევენ მას, ძალიან ნუ გეებმება ჩინეთის საქმეებშიო, რადგანაც იმედი არ არის, რომ გაშორების დროს სხვა სახელმწიფოებიც შეეწევიანო და ვაი თუ მარტოკას მოუხდეს ბრძოლა აუარებელ ჩინეთის ხალხთანო.

∝ ენით არ ითქმის და კალმით არ აიწერება ის საოცარი არევ-დარევა, რომელიც ეხლა ჩინეთში ჰსუფევს. ამის დასამტკიცებლად «ჟურნალ-დე-შანჰაის» მოჰყავს შემდეგი ამბავი: «შანჰაის მეფის მოადგილემ ერთის კვირის განმავლობაში მიიღო იმპერატორისაგან ოთხი ბრძანება. პირველში იმპერატორს მეფის მოადგილესათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ევროპიელებთან მეგობრულ დაახლოვებისათვის; მეორეში — ნაბოძები იყო დიდი ჯილდო სადიპლომატო ხელოვნებისათვის. მესამეში — მეფის მოადგილეს ატყობინებდენ იმპერატორის კომისარის მოსვლას და ემუქრებოდნენ თანამდებობიდან დათხოვნას და, დასასრულ, მეოთხე ბრძანებაში გამოცხადებული იყო მეფის მოადგილესადმი იმპერატორის სრული ნდობა და წყალობა. აქედან ცხადია, რომ იმპერატორი სწორედ სათამაშო ბურთად გამხდარა სასახლის სხვა და სხვა პარტიების ხელში.

∝ ყველას უკვირთ, რომ პრეზიდენტი კრიუგერი ჯანმრთელობის აღსადგენად მიდის ჩრდილოეთში, ცივ ჰოლონდიაში, რომლის ჰავაც სრულებით არ მოუხდება მოხუცებულს და ჯან-გატეხილს პრეზიდენტს სამხრეთ-აფრიკის თბილი ჰავის შემდეგო. «კელნიშე ცაიტუნგის» კორესპონდენტი სწერს ამის შესახებ, რომ კრიუგერმა თითონ იცის რისთვისაც მიდის ჰოლანდიაშიო და ჰოლანდიის ჰავაც უფრო მოუხდება მას, სანამ ჰავა კუნძული «წმინდა ელენეს»-ი.

∝ «დეილი ნიუსი» სწერს: ჯერ კიდევ წარსულ ხუთშაბათსაც არავითარი იმედი არ იყო ლიბერალთ დასის ცოტა რამ გამარჯვებისა. ერთი მათი წინამძღვართაგანი გერბერტ გლადსტონი სრულებით სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. ეხლა-კი მათი მდგომარეობა მოულოდნელად და ცხადად გაუმჯობესდა. იმპერიალისტური მისწრაფებანი, ეტყობა, სუსტდებიან ინგლისში. ბრძოლა დასთა შორის იქნება მოკლე, მაგრამ გამწარებული. იქნება ლიბერალთ ისიც კი მოასწრონ, რომ ეხლანდელი სამინისტრო გამოდევნონ თავის სიმაგრეებიდან. კონსერვატორების ორგანებიც, თავის მხრით, ძალიან აფრთხილებენ თავიანთ დასის მიმდევართ. რაც ძალი და ღონე გვაქვს, სულ უნდა მოვიკრიბოთ, თუ გვსურს ნამდვილად გავიმარჯვოთო.

## ახალი ამბავი

✦ დღეს ამიერ-კავკასიაში საქართველოს სამხედრო გზით უნდა ჩამობრძანდნენ დიდი მთავრები კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და სერგეი მიხეილის ძე. მისი უმაღლესობა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ტფილისში მოდის აქაურ საკადეტო კორპუსისა და საიუნკრო სასწავლებლის დასათვალიერებლად, ხოლო მისი უმაღლესობა სერგეი მიხეილის ძე ბორჯომში მიდის.

✦ ხელმწიფე იმპერატორს ნება დაურთავს დააარსონ საბებიო ინსტიტუტში ერთი ადგილი მისი იმპერატორებითი უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელით. ეს ადგილი ქალაქის ხარჯით შეინახება. ამისათვის საბებიო ინსტიტუტი ჰსთხოვს ქალაქის გამგეობას აცნობოს, რა დღეიდან გადიხდებს ამისთვის საჭირო ფულს.

✦ პარასკევს, 22 სექტემბერს, მოხდა მესამე და უკანასკნელი სხდო-

მა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა და საგნგებოდ არჩეულის ჟიურისა განსახილველად იმ პიესებისა, რომელნიც საზრემოდ იქმნენ წარმოდგენილნი. როგორც გადმოგვცეს, შეერთებულს კრებას არც ერთი პიესა არ უცვნია პრემიის ღირსად. ერთი პიესა კრებას მოსწონებია, როგორც ტეხნიკის, ისე ენის მხრითაც, მაგრამ მისი წარმოდგენა შეუძლებლად უცვნია, რადგანაც პიესაში ცოცხალი პირებია გამოყვანილი, რომელთაც ტფილისის საზოგადოება კარგად იცნობს. მეორე პიესა, როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, თუმცა პრემიის ღირსად არ იქმნა ცნობილი, მაგრამ მოწონებულია და წარმოდგენილიც იქმნება მომავალ სეზონში. მესამე პიესა—ისტორიული—თუმცა არ იქმნა ცნობილი სუსტად, მაგრამ წარმოდგენილი ვერ იქნება. დანარჩენი პიესები უვარგისად იქმნენ ცნობილნი.

✦ **ქართულის წარმოდგენების სეზონი** გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში. განზრახულია პირველად წარმოადგინონ გრიბოედოვის ცნობილი პიესა „ვაი ჭკუისაგან“, ახლად ნათარგმნი განდეგილისაგან.

✦ დღეს, 24 სექტემბერს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება მეორე (ამ სეზონში) **ქართული სახალხო წარმოდგენა**. დადგმული იქმნება დრამა „პარიზელი ღატაკნი“.

✦ 20 ამ თვეს **სოფელ ერთაწმინდაში** წმ. ესტატეს სახელობაზე ძველთაგან აშენებულ ტაძრის დღეობა იყო. უწინდებურად მრავალი მლოცავი არ დაესწრო. ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა არქიმანდრიტი დოსითეოზი. მონასტრულმა გალობამ ხალხი სასოებით აავსო და მრავალთ შვების ცრემლიც აფრქვიეს.

✦ ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს თხოვნით, რომ მას **აეკრძალა „უნიონ“ ის საზოგადოებისათვის** კერძო სახლებში სასახლის ქუჩაზე ელექტრონით განათების გამართვა. ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის თავს, რომ იგი უკანონოდ სთვლის ამ მოთხოვნას და ამისათვის მას არ შეუძლიან აკრძალვა. ამასთანავე უმატებს, რომ თუ გამგეობამ იცის რაიმე კანონი, რომლითაც შეიძლებოდეს აკრძალვა, შეატყობინოს მას, გუბერნატორს.

✦ სამიწად-მოქმედო სამინისტროს რწმუნებულმა კავკასიაში გაგზავნა თავისი მოხელე ტაქსატორი კარაგიჩევი ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში დასათვალიერებლად იმ ადგილებისა, რომელთაც **წყალ დიდობა აზარალებს** ხოლმე. ბ-ნმა კარაგიჩევმა უნდა წარმოადგინოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან ეს ადგილები.

✦ ქუთაისიდან „ნოვოე ობოზრენიე“ ს სწერენ: „ადგილობრივ **სასულიერო უწყებაში** ახალის ეპისკოპოსის ჩამოსვლის შემდეგ ბევრ ცვლილებას მოელიან. ჩვენ გავიგეთ, რომ ახალს ეპისკოპოსს უკვე დაუთხოვნია რამდენიმე ბლაღოჩინი და გადაუწყვეტია, რომ ამერიდგან ბლაღოჩინობას მისცემს მხოლოდ იმათ, ვისაც სემენარიის სრული კურსი აქვს გათავებული. ახალი ეპისკოპოსი შეუდგა მრავალ საქმეთა გარჩევას, რომელიც გაურჩეველი დარჩა უწინდელს მმართველს ეპარქიისას.“

✦ ბათუმში განზრახული **საბაღოსნო გამოფენის** გახსნა 25 სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე გადაიდვა. დღემდის ბევრი ექსპონატია გამოგზავნილ-წარმოდგენილი, ასე რომ გამოფენა კარგი უნდა გამოდგეს.

✦ ბათუმის საქალაქო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეადგინოს **პროექტი ქალაქის უძრავ მამულების** ხელ-ახლად **დაფასებისა**, მალე გაათავებს მუშაობას და 1-ლ ნოემბრისათვის წარუდგენს საბჭოს თავისს მოხსენებას.

✦ დაბა ახალ-სენაკიდან შემდეგსა გვწერენ: „ჩვენ, დაბა ახალსენაკისა და სხვა სოფლების ახლომახლო მოვაჭრენი, შევიწროებულნი ვართ ახალსენაკის რკინის გზის სადგურის მოხელეთაგან. ვაჭრებს გვაქეს გასაგზავნი საქონელი, მაგალითად: სიმინდი, შეშა, ქვა, პარკი, დაფნის ფოთოლი და ბევრი სხვა. ამის გაგზავნისთვის დღეს რომ ვაგონებს მოვითხოვთ, შეიძლება გვეშოვოს მერვე-მეათე დღეს; მანამდის კი საქონელი—ზოგი გვიფუჭდება და ზოგს ფასი აკლდება. ეს კიდევ არაფერი, შეიძლება ვაგონებს ჩვენთვის მარტო არ სცალოდეს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ როდესაც ვაგონებს მოგვცემენ ხოლმე, მათ ისეთ ადგილს მოგვიყენებენ, რომ ოთხის მაგიერ შეგვიძლიან დავტვირთოთ ორი და რაკი დაგვირჩება დაუტვირთავი ვაგონი, გვახდევინებენ ჯარიმას, რომელსაც ეწოდება „За храненіе“; ასე რომ მანეთის ადგილში გაგვდის ოთხი-ხუთი მანეთი! ამასთანავე ჩვენ გვაქვს მისალები საქონელიც. აი ასეთი მეტი ხარჯის და ჯაფის ასაცდენად ეს ჩვენი დალოცვილი ვაჭრები არაფერს ჰფიქრობენ, თუმცა გაჭირვების საათს რაღაცას წაიბუტბუტებენ, მაგრამ მალე ავიწყდებათ. განა არ შეგვიძლიან თხოვნით მივმართოთ რკინის გზის მმართველობას? იქნება მან მაინც ყურადღება მოგვაქციოს, რათა მრავალი ბატონები თავს მოგვაშორონ და შეგვიმსუბუქონ საქონლის გაგზავნისა და მიღების საქმე?!“

## საღამოს დეპეშები

### 23 სექტემბერი

**პეტერბურგი.** სატარიფო კრების მეხუთე სხდომაზე სოფლის მეურნეებმა განაცხადეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რკინის გზებისაგან საქონლის წესიერს გადაზიდვასა და სთხოვეს ფინანსთა მინისტრს დაეხმაროს ამ მხრით მეურნეთ. თავმჯდომარემ კრება დახურულად აღიარა.

**პარიზი** დელკასემ უბრძანა საფრანგეთის წარმომადგენელთ საზღვარ გარეთ—შეჰკრიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა პროგრამას ადგიან უცხო სახელმწიფონი, რომელნიც საფრანგეთთან ერთად მოქმედობენ შორეულს აღმოსავლეთში ჩინეთთან მოლაპარაკების საქმეში. საფრანგეთის წარმომადგენლებმა აღასრულეს ეს ბრძანება და წარუდგინეს გარეშე საქმეთა მინისტრებს სამზღვარ გარედ შემდეგი ნოტა:

„როცა სახელმწიფოები ჯარებს გზავნიდნენ ჩინეთში, მიზნად ჰქონდათ პირველად ყოვლისა საელჩოების განთავისუფლება. ჯარების ერთობისა და მამაცობის მეოხებით ეს მიზანი მიღწეულია. ეხლა დარჩა მივიღოთ ჩინეთის მთავრობისაგან, რომელმაც თავის რწმუნებულებად პრინცი ცინი და ლიხუნჩანგი დანიშნა, დაკმაყოფილება წარსულისათვის და გარანტია მომავლისათვის. გამსჭვალული იმავე სურვილით, რომელმაც გამოიწვია სახელმწიფოების განცხადებები, რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ სთვლის გამოთქვას თავისი შეხედულებანი, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედვას მოლაპარაკებას: 1) დასჯა უმთავრეს დამნაშავეთა, რომელთაც უჩვენებენ სახელმწიფოების წარმომადგენელნი; 2) იარაღის შემოტანის აკრძალვა. შემდეგისთვისაც; 3) სახელმწიფოების, საზოგადოების და კერძო პირების ზარალის ზღვევა; 4) დაარსება პეკინში მუდმივ მცველ რაზმისა უცხოელთაგან; 5) ტაკუს სიმაგრეების დანგრევა და 6) სამხედრო ოკუპაცია ორის ინ სამის პუნკტისა ტიან-ძინისა და პეკინს შუა, რათა ამ გვარად პეკინის გზა მუდმივ თავისუფალი იყოს ელჩებისა და ჯარებისათვის. ეს პირობები, რომელთაც შეიმუშავებენ ერთად სახელმწიფოების წარმომადგენელნი და მოკავშირეთა ჯარები სიმტკიცეს მისცემენ, ყოვლად კანონიერნი იქნებიან და, რესპუბლიკის მთავრობის აზრით, მათ ჩინეთის მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს.“

**ტიანძინი.** იუნგლუსთვის მიწერილობა გაეგზავნათ, რომ ტიანძინში წასულიყო ლიხუნჩანგის პეკინში გასაცილებლად. ეს ბრძანება გაუქმებულ იყო. ბრიტანიის კრეისერი „ორორა“ ს დესანტის ჯარებმა დაიჭირეს ჯანვანტაო. შანჰაიში ბრძანება გასცეს, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მასალა ტან-ხოდან ჯანვანტაომდე რკინის გზის ტოტის გასაყვანად და ასაშინებლად დროებითი ბოლაზისა, რომელშიაც ტრანსპორტის გემებს შეეძლოთ შესვლა. იმედი აქვთ, ეს მუშაობა ორ თვეს შეასრულონ, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ზომები მიიღონ, რომ გემებს ზამთარშიაც შეეძლოთ ამ ბოლაზში დარჩენა.

**პეტერბურგის ბირჟა 22 სექტემბ.**

| | მყიდველნი. | გამყიდველნი | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ე | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | 96 | — | — |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | — | 99½ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $96\frac{7}{8}$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 331¼ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 215¼ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 87¾ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

გამომც. გ. ბუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Сентября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჭის დიდი ქუჩა, № 27.